



# ახადბაბდა სოციალ-დემოკრატი

LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE

გამდგემა საქ. ახალგაზდა მარქსისტთა ღრგანიზაციის სახდვარგარეფელ დელეგაციის  
და საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის პარტიის ახალგაზდათა ვაკეშირის.

პირველი რვეული. პარტიი, მანისი 1927 წელი. Paris, Mai. Premier cahier.

## ხ ვ ე ნ ი მ ი ზ ა ნ ი .

უკვე ექვის წელიწადია, რაც რუსეთის მიერ ძალით დამყარებული რეჟიმი მძინ-  
ვარებს საქართველოში. ყოველგვარ ზნეობას მოკლებული საოკუპაციო მმართველობა  
განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას ქართველი ერის წინააღმდეგ, ვინაიდან ქართველი  
ერი თავისუფლების დაკარგვას ვერ ურიგდება და იბრძვის შელახული უფლების აღ-  
დგენისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენი სამშობლო არ არის განმარტოებული. საქართველოს განთა-  
ვისუფლება არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ განცალკევებულ, ადგილობრივ, ვიწრო  
ეროვნულ პრობლემას, არამედ კაცობრიობის ერთ ერთ მიზანს, რომელიც ჩაქსოვი-  
ლია დემოკრატიის მსოფლმხედველობაში.

კაცობრიობა ორ ბანაკათ არის დაყოფილი: ერთი მხრით—დესპოტია და მისი  
გარკვეული მატარებელი ორი ძალა—ბოლშევიზმი და ფაშიზმი, თუმცა გარეგნულათ  
სხვადასხვა სოციალურ შინაარსიდან გამომდინარე, მაგრამ ორივე დაუზოგავი მტერი  
კაცობრიობის წინსვლის და მშვიდობიან განვითარების, —მეორე მხრით დემოკრატიუ-  
ლი მოძრაობა, დამყარებული თავისუფლების და სამართლიანობის პრინციპებზე.

დემოკრატიულ მოძრაობის მთავარი მატარებელი სოციალური ფაქტორი არის  
საერთაშორისო პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი—სოციალისტური ინტერნა-  
ციონალი, რომელიც ამგვარათ წარმოადგენს ქართველი ერის გულწრფელ და ერთგულ  
მოკავშირეს.

მომავალი ეკუთვნის დემოკრატიას, და ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა, რომ ერ-  
თა თვითგამორკვევას, ერთა განთავისუფლებას, და კერძოთ საქართველოს დამოუკი-  
დებლობის აღდგენას აქვს მტკიცე საფუძველი. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ გან-  
საკუთრებულ მიზნების გამო შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა ხელს არ შეუ-  
წყობს საქართველოს განთავისუფლების უამის მოახლოვებას. პირიქით ჩვენ ღრმათ  
გვწამს, რომ საბჭოთა რუსეთის საშინაო და სავარეო კრიზისი, რომელიც თანდათან  
ვითარდება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას—ახლო მომავლის პრობლე-  
მათ ხდის.

დემოკრატიული პრინციპი—ერთათ ერთი სოცველმყოფელი ძალა—დღეს თუ  
არა ხვალ თავისას გაიტანს და დაანგრევს სუყველგან დესპოტიას. უმთავრესია, რომ  
ქართველმა ერმა შეინარჩუნოს სიმტკიცე, ერთსულფონობა და ბრძოლის ენერგია.  
ბრძოლა სხვადასხვა პირობების მიხედვით მიიღებს სხვადასხვა ფორმებს, მაგრამ არ  
შენელებდა, არ შესუსტდება. ყველამ იცის, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობს  
ჩვენი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველი ახალგაზდათა და მარქსისტთა ორ-  
განიზაციაში. ამომეა მათი ტვირთი საქართველოში, მაგრამ მათი გული სიამაყით და  
ენტუზიანებით არის აღსავსე, ვინაიდან ისინი ღიად იდეალს ემსახურებიან. ჩვენ—მათი  
მეგობრები, უცხოეთში მყოფი, სულით და გულით მათთან ვართ—საერთო გრძობით,  
საერთო აზრით გამსჭვალული. იქ თავისუფლება დახშულია. მათ საშუალება არა აქვთ



სიმართლე გაიგონ და თავიანთი აზრი და სულისთქმა თავისუფლად გამოახატონ. ჩვენ აქ თავისუფალ პირობებში ვიმყოფებით. ჩვენი ზოგადეობაა მათ ყოველნაირად ხელი შევეწყობოთ. ამისათვის ვაარსებთ ჩვენ «ახალგაზნა სოციალდემოკრატს».

ჩვენ გვინდა «ახალგაზნა სოციალდემოკრატი»-ს საშუალებით ადვადგინოთ მჭიდრო კავშირი ჩვენ მეგობრებთან საქართველოში, მივაწოდოთ მათ ინფორმაცია ყველა იმ კითხვების შესახებ, რომელიც სოციალისტურ ახალგაზნობას აინტერესებს.

ჩვენ გვინდა მათ დაწერილებით გავაცნოთ, თუ რას წარმოადგენს ევროპის სოციალისტური ახალგაზნობა, რა არის ახალგაზნა სოციალისტთა ინტერნაციონალი, რომლის წევრათ ვითვლებით ჩვენც, როგორია მისი მსოფლმხედველობა, როგორია მისი პროგრამა და მისი საქმიანობა; ჩვენ გვინდა გავაძლიეროთ სულიერი კავშირი საქართველოს ახალგაზნა მარქსისტთა ორგანიზაციას და ახალგაზნა სოციალისტთა ინტერნაციონალ სშორის.

«ახალგაზნა სოციალდემოკრატი» გააშუქებს ამგვარათ ყველა იმ პრობლემებს, რომელიც აინტერესებს საერთოთ ახალგაზნა სოციალისტთა ინტერნაციონალს.

ჩვენ ვართ სოციალისტები... სოციალიზმის მთავარი მიზანი არის კაცობრიობის გათავისუფლება ყოველგვარ ჩაგვრისაგან, არის ეს ჩაგვრა კლასის, სქესის, პიროვნების თუ ერის წინააღმდეგ მიმართული. ამიტომ სხვა პრობლემათა შორის ერთა განთავისუფლების პრობლემას ექირება უმთავრესი ადგილი...

და ეს მით უმეტეს, რომ ჩვენ ვართ უწინარეს ყოვლისა ქართველი სოციალისტები. ამიტომ ჩვენ მთავარ ყურადღებას სრულიათ ბუნებრივათ იპყრობს ჩვენი ერის ბრძოლა თავისუფლების მოსმპოვებლათ, მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის აღსადგენათ... ჩვენ მთელი ჩვენი არსებით ქართველ ერთან ვიმყოფებით და მასთან ერთათ ვიბრძვით... «ახალგაზნა სოციალდემოკრატი» არ ჰყოფს სოციალისტისათვის, არ არსებობს სოციალიზმი, თუ ერი დაჩაგრულია, და მეორე მხრით ერი არ არის სავსებით თავისუფალი სოციალიზმის გარეშე.

ამგვარათ ჩვენი ყურნალი გაარკვევს ყველა იმ კითხვებს, რომელიც ენება ჩვენი ერის ბრძოლას და ჩვენი ახალგაზნობის როლს ამ ბრძოლაში.

ერის განთავისუფლების მთავარ პირობას წარმოადგენს ყველა ეროვნულ ძალთა ერთსულოვნობა, კავშირი საერთო მიზნის მისაღწევათ.

ჩვენ დრმათ გვწადია ქართველ პოლიტიკურ პარტიათა მთლიანი ფრონტი, მათ შორის ერთსულოვანი და შეთანხმებული მუშაობა.

ჩვენ გვინდა ეს ერთობა დაკული იყოს აგრეთვე ახალგაზნობაში.

რაც არ უნდა გვეყოფდეს ჩვენ ქართველ ახალგაზნათა სხვა ჯგუფებისაგან, ჩვენ გვინდა შეთანხმებული მუშაობა საერთო საქმისათვის.

ჩვენ გულწრფელათ მოვუწოდებთ ყველას, ვინც გამსჭვალულია ასეთივე გულწრფელი სურვილით: ერთათ დგომა საერთო მტრის წინააღმდეგ—ეს დღეს ჩვენი ბრძოლის ლოზუნგია.

ჩვენ ენერგიულათ შევებრძოლებით ყველა იმათ, ვინც უთანხმობას თესავს ჩვენ შორის და ვისაც უნდა საერთო ფრონტის დანგრევა.

ის აზრი, თითქოს მხოლოდ ერთი ჯგუფი, ერთი მიმართულება უნდა არსებოდღეს, როგორც სხვების მეშკვიდრე და სხვების შემტყვლადი—ეს არის ყალბი აზრი.

ყოველ პოლიტიკურ პარტიას აქვს თავისი სოციალური საფუძველი, რომელიც ქმნის მის აუცილებლობას.

არის მომენტები ისტორიაში, როდესაც განსაკუთრებულ მიზნის მისაღწევათ საჭიროა სხვადასხვა სოციალურ ძალთა შეთანხმება.

ასეთ მომენტში ვიმყოფებით ჩვენ. ჩვენს წინ დიადი იდვალთა: საქართველოს გათავისუფლება. და ამ იდეალის განხორციელება ითხოვს შეთანხმებულ ბრძოლას.

«ახალგაზნა სოციალდემოკრატი»; რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული მიზნები, ემსახურება აგრეთვე საერთო მიზანს... გულწრფელათ, შეუდრეკელათ, მთელი თავისი ენერგიით.

მ. ხუნდაძე.





9 წელია მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა სრული თავისუფლება მოიპოვა და ამცნო მთელ ქვეყანას დამოუკიდებელ საქართველოს რენპუბლიკის წარმოშობა.

26 მაისი—ეს დიადი თარიღია საქართველოს ისტორიაში, დაუვიწყარი ყოველ ქართველის გულში. ეს არის დღე, როდესაც გამოღვიძებულ ერმა კპოვა თავისი სუვერენული „მე“ და ენტუზიაზმით შეუდგა თავის ახალ სახელმწიფოს აშენებას.

რამდენი იმედი გაუღვიძა ამ მხე მოდენილ დღემ ჩვენ ხალხს, კერძოდ ჩვენ ახალგაზდობას, რამდენი ენერჯია და ძალა მოგვცა მან ჩვენ! ჩვენ კარგათ ვხედავდით სიძინელებს რომელიც წინ გვედგა, ვგრძობდით, რამდენათ მართალი იყო ჩვენ დაუვიწყარ ძვირფას კარლოს სიტყვები, რომელიც მან წარმოსთქვა 26 მაისს დამოუკიდებელ საქართველოს პარლამენტის პირველ სხდომაზე: «ჩვენი ახალი გზა არ იქნება ია ვარდით მოდენილი!» მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებდა, ჩვენს წინ ახალი დიდი გზა გაიხსნა, რომელიც სწავლებას გვაძლევდა ჩვენი კულტურა უადრესთ გავვეითებოდა, ჩვენი პოლიტიკური და სოციალური იდეები ჩვენი ერის და კერძოდ ჩვენ მშრომელ მასების საკეთილდღეოდ გავვერცხვინებოდა. ჩვენი ერი მთელი თავისი ენერჯიით, მთელი თავისი სინარულით მიეცა ამ საქმეს.

რასაც არ უნდა ამბობდეს დღეს ჩვენი მტერი ან სხვა ბორტი ენები, ნუ დავივიწყებთ, რომ მიუხედავად იმ სიძინელებისა, რომელიც წილათ ხვდა ჩვენ ერს, როგორც ომის და რუსეთის ანარქიის შედეგი,—მან მაინც შესძლო შეექმნა ეროვნული ორგანიზაცია, რომელშიაც შეკავშირდა მთელი ერი—თავისუფლების ნიადაგზე.

მან მიადწია თავის დამოუკიდებლობის საჯარო აღიარებას მთელი კაცობრიობის მიერ.

ჩვენს წინ იდგა ეკონომიური და ფინანსიური დებრკოლებები. პოლიტიკურ კონსოლიდაციის შენდევ ჩვენი ქვეყნის და მთავრობის ყურადღება ამ მხრით იყო მიქცეული. აქაც ჩვენ საგნობ გაუმჯობესობას მივალწიეთ და მაგარი ნაბიჯით მივდიოდით უკეთეს მერმისისაკენ...

მაგრამ რუსეთმა ბოლშევიკური მთავრობის ხელმძღვანელობით არ დაგვანება ეს სააღმშენებლო მუშაობა.

ბოლშევიკებმა ვერ მოითმინეს მის გვერდით პატარა სახელმწიფოს არსებობა, სადაც სოციალისტური მთავრობა თავისი მოქმედებით ნათესავოდა დემოკრატიულ მეთოდის სისწორეს და ამგვარათ სახელს უტეხდა მთელ მათ სისტემას.

რუსეთი მიუხედავად დადებულ ხელშეკრულებისა ვერაგულათ დაეცა ჩვენს ქვეყანას და დაიპყრო იგი.

უკვე 6 წელია, რაც გრძელდება მათი ტირანია ჩვენში.

უკვე 6 წელია, რაც ბ—ი ცდილობს დაიმონავოს ქართველი ერი. დაახმოს მისი ეროვნული ენერჯია, ჩაუკლას მას თავისუფალ სამშობლოს აღდგენის სურვილი.

მაგრამ ძლიერია ქართველ ერში იდეალიზმი.

მის სულს ვერ გასტეხს ვერც ძალმომრეობა, ვერც მოსყიდვა. ის ვერ უღალატებს იმ იდეალს, რომელიც მას სწამს და უყვარს.

გადახედონ ჩვენმა მტრებმა საქართველოს ამ ექვსი წლის ისტორიას. ქართველი ერი შეუდრეკელია თავის ბრძოლაში. მის მიერ გადებული დიადი მსხვერპლი, მის საუკეთესო შვილების თავგანწირვა ამის საბუთია. ვერავითარი წამება 26 მაისის დრომას მას დაბლა ვერ დაახრვეინებს. დღეს საქართველოს ჯალათნი ყოველგვარ ზომებს მიიღებენ, რომ ნება არ მისცენ ჩვენ ქვეყანას 26 მაისი იდეისასწაულს, მაგრამ ამით ამ დღესასწაულის სიდიადე არ დამცირება. მტარვალთა მიმართ მთელი საქართველო და მასთან ყველა ჩვენ ვიტყვი:

«გაუმარჯოს 26 მაისს! გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!»

## პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ი ს ი.

საერთაშორისო დღესასწაულთა შორის პირველი მაისის დღეს ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ის დაწესებულ იქნა 1889 წელს, მეორე ინტერაციონალის პირველ კონგრესზე, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის მთლიანობის და სოლიდა-

რობოს დღე. აქედან დაწყებული მსოფლიო მუშათა კლასი ყოველ წლიურათ დიდის გატაცებით დღესასწაულობს მას.

მისი ღონეუნიკა ბრძოლა ომის წინააღმდეგ, რომელიც თავისი სიმძიმით მუშათა კლასს აწევდა ზურგზე და რვა საათის სამუშაო დღის შემოღება. ამით პირველი მანისის დღესასწაულმა იმ თავითვე მიიპყრო მშრომელთა ყურადღება და ის განხდა მისი ამოძრავების და დარახმვის დღე და მჩაგვრელთა წინააღმდეგ და მისი მონობისაგან განთავისუფლების სიმბოლო.

ეს დღე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო და არის საქართველოს მუშათა კლასის მოძრაობისათვის და მას ღირსეული ადგილი უჭირავს მისს განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში. პირველი მაისობა მისთვის იყო არა მარტო ბრძოლის სიმბოლო, არამედ ის თვით ამ ბრძოლას ნიშნავდა; ამ დღის ჩატარება ქართველ მუშებს პოლიტიკურად წვრთნიდა, აჩვენებდა მათ საპირველმანისო იდეების აზრის გაგებას და აღრმავებდა მათში ამ იდეების განხორციელების აუცილებლობის შეგნებას. ქარველ მუშას იმდენათ შეეძლო ედღესასწაულა ეს დღე, რამდენათაც მას შეეძლო მისი ძალით დაცვა ძველი რეჟიმის დამცველებსაგან. ამნაირათ ეს დღე ჩვენში იმ თავითვე ატარებდა პოლიტიკურ შინაარსს და ის თითქმის ყოველთვის იხატებოდა დემონსტრაციებში, სისხლისმღვრელ შეტაკებებში და პროტესტებში. სწორეთ ასეთი იყო ჩვენში პირველი სამაისო დემონსტრაცია 1901 წელს, რომელიც დასაწყისია ქართველი ერის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის.

ამ დღეს საქართველოს მუშათა კლასი აწყობს ქალაქ ტფილისში დიდ სახალხო დემონსტრაციას პოლიტიკური ღონეუნიკებით და თავისუფლების დროშის აფრიალებით. იმადლებს ხმას რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ასე გრძელდება შემდეგ წლებშიაც და მით ქართველი მუშათა კლასი თავის განთავისუფლების საქმე უკავშირებს სურთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობას.

პირველი მაისის მნიშვნელობა, მისი ღონეუნიკის განხორციელება ასევე ცხოველ მყოფელია დღესაც ჩვენთვის, როგორც ეს იყო ამ 20-25 წლის წინათ.

1901 წელს, მაისში საქართველოს მუშათა კლასი სრული ასი წლის მონობის შემდეგ პირველათ იღებს მონაწილეობას პოლიტიკურ დემონსტრაციაში და ჩვიდმეტი წლის შემდეგ, იმავე თვეში ის ახდენს უდიდეს დემონსტრაციას მთელი მსოფლიოს წინაშე, სათავეში უდგება ერის განთავისუფლების და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს. ამრიგათ ჩვენი უდიდესი ეროვნული დღესასწაული—26 მაისი მჭიდროთაა გადაჯაჭვული პირველი მაისის ღონეუნიკის გამარჯვებასთან.

ქართველი ერი დღეს იტანჯება უცხო სამხედრო ოკუპაციის ქვეშ, მას სულს უხუთავს გაწითლებულ რუსული იმპერიალიზმი; მისი დაცემით თავისუფლებას მონიპვებენ ჩაგრული ერები და მით გზა გაეხსნება საქართველოს სუვერენობის აღდგენას, რომლის გარეშე შეუძლებელია მისი განვითარება.

დღეს მონობის უღელში ჩაქერილ საქართველოს მუშათა კლასს არ აქვს საშვალეობა აშკარათ და მზის სინათლეზე იდღესასწაულს პირველი მაისი. «მუშურ მთავრობის სამფლობელოში» მუშათა კლასი უფლება აყრილი და დაჩაგრულია, მარა ქართველი მუშა კარგათ ხედავს, თუ როგორ ირყევა იმპერიალიზმის ძალა, ეცემა ძალმომრეობასა და ტერორზე აგებულ «საბჭოთა სამყაროს» წონა და როგორ ძლიერდება საერთაშორისო დემოკრატია. ეს მას მატებს მხნეობას და ენერგიას გადამჭრელ ბრძოლისათვის. რომელმაც ქართველი ერის თავისუფლება უნდა გამოსქედოს. თავისუფალ საქართველოში თავისუფალი მუშათა კლასი კვლავ დაუკავშირდება მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობას და გასწევს წინ ყოველგვარ ჩაგვრის მოსასპობათ და საყოველთაო თავისუფლების დასამყარებლათ.

ჩვენ დღითი დღე ვუახლოვდებით იმ დღეს, როცა საქართველო აღსდგება, მისი მუშათა კლასი დაიბრუნებს წაართმეულ თავისუფლებას და მსოფლიო მუშათა კლასთან ერთად პირველ მაისს იდღესასწაულებს.

ამ იმედით უგზავნით სამაისო სალომს ჩვენ შებრძოლ მუშათა კლასს და მის ახალგაზრდაობას. მისი სახელით მივესალმებით ახალგაზრდათა სოც. ინტერნაციონალს—ჩვენი დაჩაგრული სამშობლოს ერთგულ და გულწრფელ მეგობარს!

## ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობა და სოციალდემოკრატიული ახალგაზდობა.

### I.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას მეცხრამეტე საუკუნის დამდგეს თან მოჰყვა ქართულ პოლიტიკურ-სახოგადოებრივი ცხოვრების დიდი ხნით მოდუნება.

ერის გამოფინილება ვასულ საუკუნის დასასრულს დაიწყო. ეს მოხდა სოც. დემოკრატიული პარტიის ასპარეზზე გამოსვლით, რომელმაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

სოც. დემოკრატიული პარტია მთელი 30 წლის განმავლობაში ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანია საქართველოს სახოგადოებრივი აზრის და მოძრაობის განვითარების. ის მეთაურობდა ჩვენში ყველა რევოლუციონურ და სახოგადოებრივ მოძრაობას. ქართველი მშრომელი ხალხის უმრავლესობამ შეითვისა და შეისისხროცა სოც. დემოკრატიული მოძღვრება. მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით სწარმოებდა ერის პოლიტიკური დარაზმვა და ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლა. ამ დროში შეანგრია მან თვითმპყრობელობის კედელი 1905 წელს. სავსებით დასცა ის 1917 წელს და მოიპოვა საქართველოს სუვერენობა. ამავე დროში განაგრძობდა ის ბრძოლას ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ. ის არის დღეს მთავარი ძალა მტრის ბანაკში შეჭრილი, პირველ სანგრებზე მდგომი და შეუპოვარი მებრძოლი. მას მალლა უჭირავს თავისუფლების დროშა, რომელსაც აწერია: დემოკრატიის ბატონობა, ერის სუვერენობა და სოციალიზმი.

ექვსი წელი გრძელდება უსწორო ბრძოლა. ამ ბრძოლაში შეგნებულათ ზაბმულია მთელი ქართველი ერი, ყველა თაობა. ყველა ასაკი და პარტიები. ქართველ ახალგაზდობას და კერძოთ სოც. დემოკრატიულს ღირსეული ადგილი უჭირავს ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ეს ასეც უნდა იყოს. ის აღიზარდა და დავაჟაკადა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხანაში და სწორეთ ამაშია—მისი სიძლიერეც.

სოც. დემოკრატიული ახალგაზდობა, დარაზმული მარქსისტურ ორგანიზაციებში პოლიტიკურათ, იდეურათ და ორგანიზაციულათ სავსებით მომზადებული აღმოჩინდა საოკუპაციო ხელისუფლებასთან ბრძოლაში. ის ვერ ვასტება ვერც ჩვეის საშინემა ინკვიზიციაში, ვერც ციხე გადასახლებაში და ვერც მასიურ ხვრეტაში. ამას მოწმობს მისი გმირული ბრძოლა ამ ექვსი წლის განმავლობაში და ბოლშევიკების განუწყვეტელი იერიშები მის მიმართ.

უღაო ფაქტია, რომ ჩვენი მარქსისტული ახალგაზდობა მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს ქართველი ახალგაზდობის ცხოვრებაში. მას უკვე აქვს თითქმის 15 წლის მოღვაწეობის ისტორია. ის ემსახურებოდა ჩვენი ახალგაზდობის პოლიტიკურათ აღზრდის საქმეს. მას სოციალდემოკრატიული პარტიისათვის უნდა მიეცა პოლიტიკურათ მომზადებული მებრძოლთა რაზმი. მისი მიზანი იყო სოც. დემოკრატიული იდეოლოგიის, მისი საფუძვლის—მარქსიზმის—შესწავლა. ეს საქმე მან ღირსეულათ შეასრულა. ჩვენ პარტიას ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციამ მისცა მრავალი მომზადებული მუშაკი და დღეს მასთან ერთად ებრძვის ჩვენი ქვეყნის დამპყობელთ. ის არის ერთი და უმთავრესი ძალა პირისპირ წამდგარი ახალგაზდობის, სიმანინჯის (კომსომოლას) წინააღმდეგ და იცავს ქართველი ახალგაზდობის ერთგულ-პოლიტიკურ სიფაქინეს მისი გამორყენელი გავლენისაგან.

რამდენიმე პერიოდით იყოფა ახალ. მარ. ორგანიზაციის მუშაობა; თვითმპყრობელობის დრჰს ის არის მარქსისტ-მოწაფეთა ორგანიზაცია და ეს პერიოდი ხასიათდება უმთავრესად თეორეტიული მუშაობით. ამ პერიოდში იზდებიან და იწვრთნებიან ამ ორგანიზაციის მომავალი ხელმძღვანელები. 1915-16 წლებში ის იმდენათ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომ მით მოფენილია მთელი საქართველო და 1916 წლის მიწურულში სდება ქუთაისში ამ ორგანიზაციების პარველი არაოლეგალური კონფერენცია და ამით მის მუშაობას და ორგანიზაციულ წყობას მტკიცე საფუძველი ეყრება. მარქსიზმის შესწავლასთან ერთად ამ ხანაში ერთობ დიდ ინტერესს იწვევდა ჩვენს ორგანიზაციებში ეროვნული საკითხის შესწავლა. მარქსისტული ახალგაზდობა ამ საკითხში ჯეროვანად მომზადებული აღმოჩინდა, რაც შემდეგმა ამბებმა სავსებით ნათლყვეს.

მან იმ თავითვე შეითვისა სოც. დემოკრატიული შეხედულება ეროვნულ საკითხზე და გარემოებამ მას დიდი სამსახური გაუწვია შემდეგში ეროვნული ბრძოლის საწარმოებალთ. ამის საილიუსტრაციოთ ჯერ კიდევ თვითმპყობელობის დროიდან მაგონდება ერთი ზეტათ დამანასიათებელი ფაქტი ჩვენი ორგანიზაციის ცხოვრებიდან. 1916 წლის დეკემბერში ქუთაისის მარქსისტ მოწაფეთა კომიტეტის კრებაზე, რომელსაც ცხრა კაცი დაესწრო მოხსენება გაგვიკეთა ქუთაისის ს. დ. კომიტეტის წარმომადგენელმა, განსვენებულმა ანს. ტრიფონ სალარიამ ახლათ ჩატარებულ ს. დ. პარტიის საოლქო ყრილობის შესახებ. სხვა საკითხთა შორის ის ვრცლათ შეხვო ამ ყრილობაზე გარჩეულ ეროვნული პოლიტიკის კითხვას ომთან დაკავშირებით. მან სთქვა, რომ ცენტრალური კომიტეტი გამოვიდა 1914 წლის ყრილობაზე წამოყენებულ დებულებით, რომელიც გულისხმობდა ქართველი ერის ნეიტრალიტეტს მიმდინარე ომში, ხოლო თუ შესაფერი პირობები შეიქნებოდა პარტიას უნდა ეკისრა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ განცხადებას ჩვენში არავითარი გაუგებრობა არ გამოუწვევია, რადგან ის მიგვაჩნდა ბუნებრივად გამომდინარე სოც. დემოკრატიის შეხედულებიდან ეროვნულ საკითხზე. თან ამ საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია იქ დამსწრეთა შორის და ამიტომ ორ ამნაწა მიენდო მისი დამუშავება და მოხსენების წაკითხვა.)

რევოლუციის ხანაში იხრდება და ფართოვდება ახალ. მარ. ორგანიზაციების მოვალეობანი ჩვენი ერის და ქვეყნის წინაშე: რევოლუციის დაცვა, გარეშე მტერთან ბრძოლა—ეს ჩვეულებრივი საქმე გახდა ჩვენი ახალგაზდობისათვის და აქ მან გასაოცარი უნარი გამოიჩინა. ბევრი მათგანი ეწერება ჯარში, სახალხო გვარდიაში და აქეთ მოუწოდებდა მას ჩვენი ორგანიზაციების კონფერენციები და მისი ცენტრალური ორგანო. ერთი სიტყვით მარქსისტულ ახალგაზდობას ჩვენ ვხედავთ ყველგან, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში და მას ყველგან ღირსეულათ უჭირავს თავი.

1918 წელს ქართველი ერი მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ოსმალეთი იკავებს ბათუმს, მისმა მხედრობამ გურია ააოხრა და ახალციხის გზით ქართლისაკენ მოიწვეს, ხოლო ბორჩალოს მხრიდან ტფილისის ასაღებათ ემზადება. გაწითლებული რუსეთი კი აფხაზეთში და დუშეთის მახრამი შემოიჭრა. მოალავე ქართველი კომუნისტები ლამობენ მთელი ერის სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვევას. საქართველოს წინაშე დგება ისტორიული საკითხი: მონახა ერის და დემოკრატიის გადასარჩენი გზა. და ამ მეტათ რთულ მომენტში, როცა ბევრს უიმედობა და სასოწარკვეთილება იპყრობდა, აფრიალდა დროშა საქართველოს დამოუკიდებლობის, რამაც ბრძოლის ახალი სული ჩაბერა საქართველოს და ჩვენი ახალგაზდობა მის დასაცავათ დარაზმა, მან ეს ახალი მდგომარეობა მიიღო სრულიად შეგნებულათ და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ვინაიდან ამ აქტში ის ხედავდა სოციალიზმის და დემოკრატიის ერთ მთავარ პრინციპის—ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას. ამ პრინციპით იცავდა ის თავს შოვინისტურათ განწყობილი ახალგაზდობიდან და ეს პრინციპი გახდა მისი პრაქტიკული და პოლიტიკური საქმიანობის მთავარ ღერძათ, როგორც დამოუკიდებლობის დროს, ისე მისი დაკარგვის შემდეგაც. საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისაკენ მოუწოდებდა მას ჩვენი ორგანიზაციის ყველა კონფერენციები. ამით იპყრობს ის ქართველი ახალგაზდობის ყურადღებას და ამიტომაც სწრაფათ იხრდება მისი წევრთა რიცხვი. (დამოუკიდებლობის დროს ის ითვლიდა 7000 წევრს).

აქ თავმოყრილია ახალგაზდა მუშა და გლეხი, მოწაფე და სტუდენტი გამსჭვალული ერთი აზრით, ერთი გრძნობით, და მისი იდეალია: სოციალიზმი, დემოკრატია და ერის სუვერენობა. ამ რიგათ ქართველი ახალგაზდობის დიდი უმრავლესობა სოც. დემ. დროშის ქვეშ დგება და მისი ხელმძღვანელობით ფიქრობდა თავისი იდეალების განხორციელებას და ყოველგვარი ჩაგვრა-მონობის მოსპობას.

ეს კი უფრო თვალსაჩინო გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როცა სოც. დემოკრატია მთელი თავისი ენერჯით შეუდგა ნაორი სახელმწიფოს მოწყობას. ერის თვითგამორკვევა არ დარჩა მხოლოდ ლიტონი სიტყვა, არამედ ის გახდა მისი საქმიანობის მთავარ საგნათ. ამიტომაც არის, როცა საბჭოთა რუ-

\*) ჩვენი პარტიული ცხოვრების ამ მეტათ საინტერესო პერიოდზე სასურველათ მიგვაჩინა დაიწეროს პარტიულ გამოცემაში მოკლე მიმოხილვა ამ ყრილობის მონაწილეთა მიერ.

სეთი შემოგვესია, პარტია არ ერიდება არავითარ მსხვერპლს და თავგანწირვით იცავს ქვეყანას. ქართველ ახალგაზდობამ მასში ჰპოვა ის მთავარი ძალა, რომელსაც შეუძლია ერის შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა. ამ გარემოებას მიეწერება ჩვენი ორგანიზაციის ისეთი სწრაფი ზრდა, როგორც დაიწყო 1921 წლიდან, საქართველოს დაპყრობის შემდეგ. \*) ახალგაზდა მარ. ორგანიზაციას ეტანება მრავალი უპარტიო ახალგაზდობა, და აგრეთვე სხვა წრეებიდან გამოსული ახალგაზდებიც. ამრიგათ ჩვენი ორგანიზაცია გაიზარდა და გამაგრდა იმ ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებს საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ.

რას ემყარება სოც. დემოკრატიული ახალგაზდობა ამ ბრძოლაში?

II.

როგორც ზევით აღვნიშნეთ ქართველი ერის დიდი უმრავლესობა, მათ შორის ქართველი ახალგაზდობაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე სოც. დემოკრატიას მიემხრო და მის მოძღვრებაში გამოხატა თავისი მისწრაფებანი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ჩვენი ხალხის დიდ უმრავლესობას მშრომელი ელემენტები შეადგენენ, რომელნიც სრულიათ ბუნებრივთ მიეკედლენ მუშათა მოძრაობის მიერ შექმნილ სოციალისტურ პარტიას. მეორეს მხრით ამას უთუოდ ზედ დაერთო ჩაგრული ერის ინსტიქტი და ის სოციალიზმის გამარჯვებაში, ხედავდა ყოველგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლების გარანტიას.

სოც. დემოკრატია ეროვნული საკითხის გადაჭრას უკავშირებდა საერთო დემოკრატიულ და სოციალურ თავისუფლებისათვის ბრძოლას. ჩვენი ხალხი იმ თავითვე მიხვდა, რომ დემოკრატიული სოციალიზმის დროშის ქვეშ ბრძოლით, ის მკვიდრ საფუძველს უყრდა. როგორც მის სოციალურ განთავისუფლებას, აგრეთვე ეროვნული თავისუფლების საქმესაც. ეს საესებით გამართლა ჩვენში უკანაყელ წლებში მომხდარმა ამბებმა.

სწორეთ თებერვლის რევოლიუცია ჩვენში საფუძველს უყრის სახალხო მოძრაობას. ამან კი გზა გაუხსნა დემოკრატიულ წყობილების დამყარებას და აქედან იწყება ქართველი ერის ნაციონალურ მისწრაფებათა განხორციელების შესაძლებლობა, რადგანაც ეს უკანასკნელი მჭიდროთაა დაკავშირებული დემოკრატიის თვითგამორკვევასთან. მხოლოთ ასეთ პირობებში შეუძლია ერს თავისუფლათ გამოსთქვას თავისი სურვილი, გადასწყვიტოს თავისი ბედი და გამოარკვიოს თავისი მომავალი.

ერის აღორძინება შესაძლებელია მხოლოთ თავის ნაციონალურ კულტურის საზღვრებში. თავისი ტერიტორიის და თავის სოციალურ ურთიერთობის ფარგლებში. ამიტომაც ერის განვითარების უზრუნველსაყოფათ საჭიროა პოლიტიკური გარანტია. აი აქედან იწყება ერის პოლიტიკური თვითგამარკვევა. ქართველ ერისთვის ასეთ გარანტიას იძლევა მისი სეპარაცია; და ისიც სწორეთ ამ გზას ადგება და საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებს.

აქვე აღსანაშნავია ის უღაო ფაქტი, რომ ყოველგვარი განმათავისუფლებელი ბრძოლის საწარმოებლათ აუცილებლათ საჭიროა მასის პოლიტიკურათ გაწრთვნა და მისი დარაზნება დამჩაგვრელის წინააღმდეგ. სოც. დემოკრატიაც აქედან იწყებს თავის ცხოველმყოფელ მუშაობას საქართველოში და ამით ხასითდება უმთავრესად მისი მოღვაწეობა ძველი რეჟიმის დროს. თვითმყობელობის დასამხობათ დარაზნული ქართველი მშრომელი მასები მუშათა კლასის მეთაურობით საესებით მომზადებული გამოდგანა ციონალური თავისუფლების მოსაპოვებლათ. ხოლო ეროვნული პრობლემის ამათუ იმ სახით გადასაჭრელათ საჭიროა არსებობდეს შესფერი ობიექტიური პირობები. რომ საამისოთ მომზადებულმა ხალხმა შესაძლოს თავისი გადაწყვეტილებით სარბიელზე გამოისვლა. ამისთვის კი აუცილებელია კიდევ ერთი პირობა—დამჩაგრული ერის შესაფერისათ გათვითცნობიეება; ის უნდა გრძნობდეს თავის თავს თანასწორათ მასზე გაბატონებთლ ერთან და თავისი კულტურული და ეკონომიური განვითარებისათვის საჭიროთ უნდა თვლიდეს თავისი საკუთარი გზის აუცილებლობას. ერის ასეთ შეგნებამდე ამალოება ხდება ობიექტიური პრობლების ზეგავლენით. ამის მავალითი თვით საქართველოა. სანამ არ არსებობდენ საამისო ობიექტიური პირობები ერის თა-

\*) მარტო სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაცია 1922 სამოსწავლო წლის დასაწყისში ითვლიდა 1,200 ნამდვილ წევრს და 300 კანდიდატს.



ვისუფლებების დასამკვიდრებლათ ქართველი ხალხის სხვადასხვა წრეები, გარდა მთელი სრამეტე საუკუნის სეპერატისტებისა, არსებულ ვითარებაში ეძებდნენ გზებს თავის ერის უფლებათა დასაცავათ.

სოც. დემოკრატიამაც მიიღო ეს ისტორიულად ბოძებული მემკვიდრეობა და მასზე ააგო თავისი პოლიტიკა მისი ასპარეზზე გამოსვლის დღიდან 1918 წლამდე. აქ კი ისტორიულმა პირობებმა ქართველი ერი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე დააყენა. სეპერაცია შეიქმნა ერის აღორძინების მთავარი ფაქტორი და განვითარების ერთად ერთ გარანტიად გადაიქცა. ერი მთლიანად დაადგა თვითგამორკვევს და მასთან ერთად ამ გზაზე შედგა მისი მეთაური სოც. დემოკრატიული პარტია. ამით ერის თვითგამორკვევა შეიქმნა სოც. დემოკრატიული პარტიის პრაქტიკული პოლიტიკის საგანი და აკეთვან მიმართა მან თივისი მუშაობის გზი და ტაქტიკა.

საქართველოს სუვერენობის აღდგენა და დემოკრატიული წესწყობილების დამყარება შეადგენს ჩვენი ერის განვითარების აუცილებლობას და ჩვენი მოქმედების უახლოვეს მიზანს. ის არ არის ჩვენი მოძრაობის მარტო ნაციონალური ფორმა, არამედ ის არის საერთოდ დემოკრატიულ-კულტურული ფორმა ჩვენი განვითარების. ნაციონალური თავისუფლება ისე როგორც დემოკრატიული აუცილებელი პირობაა ჩვენი საბოლოო მიზნის—სოციალიზმის დამყარებისათვის. უამისოთ დაჩაგრულ კლასებს არ შეუძლიათ არც აღორძინება და არც გამარჯვება. დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ უდემოკრატიოთ სოციალიზმის დამყარება მხოლოდ კომუნისტების ოცნებაა. დემოკრატიის დაფუძნება კი გზას უხსნის ერის საძელმწიფოებრივ თვითგამორკვევას. დემოკრატიის გამოღვიძება და განვითარება ხდება ნაციონალურ თავისუფლების ფარგალში. ეს არის ისტორიულად აუცილებელი ფაქტი და სრულიათ უდაოთ მიჩნეული, განსაკუთრებით მსოფლიო ომის შემდეგ. ერთი ერი ერთი სახელმწიფო ასეთია თანამედროვე დემოკრატიის პრინციპი. ევროპაში არ არის დღეს არც ერთი ერი, რომელსაც თავისი საკუთარი სახელმწიფო არ ქონდეს. ესევე პროცესი მოედო მთელ მსოფლიოს და მას ვერ აცდება ვერც ერთი ერი. იგივე პროცესი დაიწყო რუსეთში. მრავალი ერი განათავისუფლა ამ პროცესმა და მრავალი კიდევ ელის განთავისუფლებას და მათში პირველყოვლისა ქართველი ერი.

ამრიგათ ნაციონალური თავისუფლება ისეთივე აუცილებელი პირობაა ერის განვითარების, როგორც დემოკრატიული თავისუფლებაც. ეს კაცობრიობის განვითარების უცვლელი გზა და ხიდი.

თებერვლის რევოლიუციამ ძველი რეჟიმი დაანგრია, გაბაწრული სოციალური ძალები აუშვა, მარა რუსეთის დემოკრატია სუსტი აღმოჩნდა და ქვეყანა ანარქიამ მოიცვა—აქ იშვა ბოლშევიზმი, და ტირანია დამყარდა. ჩვენში კი დემოკრატიის ბატონობას მტკიცე საფუძველი ყურება და პოლიტიკურთა გაწრთვლილმა ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამ აქტით ქართველმა ერმა ყველას გასაგონათ სძქვა: «ამიერიდან ქართველი ერი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო». ქართველმა ერმა ამით გადაჭრით უარყო უცხო დესპოტია, გამოანახა თავისი საკუთარი გზა და თვით გახდა თავის თავის ბატონ-პატრონი. რუსეთი წავიდა თავისი გზით და მან დესპოტიის უღელი დაიდგა, ჩვენ კი წაედით ჩვენი ნაცადი დემოკრატიული გზით და ხალხის თვითმპყრობელობა დაგამყარეთ. ქართველი ერი მთელი თავისი ენერგიით შეუდგა თავის სახელმწიფოს მოწყობას. აქ მან დიდი უნარი გამოიჩინა: სამი წლის თავისუფლალი არსებობის განმავლობაში თავის სახელმწიფოს ფორმა და სახე მისცა, საფუძველი ჩაუყარა სოციალურ კანონმდებლობას, გაატარა დიდად მნიშვნელოვანი აგრარული რეფორმა და მტკიცეთ შესდგა აღორძინების გზაზე; მარა სულ ადრე ჩრდილოეთიდან შემოსეულმა მტერმა ხელმეორეთ შეაჩერა მისი სახელმწიფოებრივი მაჯისცემა და ქართველი ერი ისევ მონობის უღელში შეება. ამით შეიქმნა ჩვენში სრულიად ახალი მდგომარეობა და მით ქართველი ერი კვლავ ბრძოლის ველზე გამოიყვანა.

რა ხასიათისაა ეს მოძრაობა? როგორია ჩვენი განთავისუფლების პერსპექტივები და რაში უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა მიმდინარე მომენტში? ამაზე შემდეგ.

მ. ბეთიშვილი.



## ქართველი ახალგაზდობა საბჭოთა რეჟიმის ქვეშ.

ქართველი ახალი თაობის დღევანდელს მდგომარეობაში ნამდვილი დუალიზმია. წინებორავი უსუფთაობა, პოლიტიკური სიკვდილი და გადაგვარება ერთი მხრით, მტკიცე და ნათელი პოლიტიკა, ნების სიძლიერე და სამშობლოს სიყვარულის გარდაუვალობა მეორე მხრით თავგამოდებით ებრძვიან ერთი მეორეს. სიბნელისა და სიმანინჯის მოციქულები გამრჯვებული არიან ფიზიკურათ. მათ არ იციან ბრძოლის ეთიკა, არც არავითარი ეთიკა საერთოდ და არ ერიდებიან არავითარი ლაჩრული საშვავლების გამოყენებას. ძალა, რომელიც ამ სამანინჯეს ებრძვის, დევნილია, მაგრამ მასში უძლევია მისწრაფება სოციალური და პოლიტიკური სამართლიანობისაკენ, რომელსაც მტერი ასე უხეშად სთელავს.

ბრძოლა საბჭოთა და ანტისაბჭოთა თაობებს შორის სასტიკია. რომელი გაიმარჯვებს ან რომელი იმერჯვებს უკვე ამ ბრძოლაში? გავეცნათ ამ თაობათა რაობას ცალკე და პასუხსაც მივიღებთ.

### 1. საბჭოთა ახალი თაობა.

საბჭოთა სისტემა წარმოადგენს ვეებერთელა ხაფანგს, რომელშიც დაყრილია ხალხის ბედიდან მოტაცებული საყენკი. ხარბნი და სულმოკლენი ამ საყენკს ეწაფებიან და ხაფანგში ებმებიან, ხოლო ისინი, ვისაც ოდნავათ კი დაუხვევრავს გონების სამყარო, ამ ხაფანგს გაუბრძვიან და ქვა და გუნდას უშენენ. ახალგაზდობის ერთმა, საბედნიეროთ ძლიერ უმწვენლო ნაწილმა, მიაკითხა ბოლშევიკების საყენკს და მათ სუფრანე ტკბილად შეექცევა სისხლიან პურს. საბჭოთა ახალგაზდა—ეს სანაგვეზე მსახავი ჭიადუა, რომლის უდიდეს ბედნიერებას ერთი გოდორი ნეხვი წარმოადგენს. რა შეიძინა ან რა დაჰკარგა ამ ხალხმა? მათ დაჰკარგეს პირველად ყოვლისა პოლიტიკური საქმიანობის უნარი, რადგან ლენინის მიხედვით იდეოლოგიამ ჩაჰკლა მათში თავისუფალი აზრი და შემოქმედება, და გაამეფა მის ადგილას მკვდარი მიბაძვა, უფროსის მაგალითის ბრძმა გადაღება. საბჭოთა ახალგაზდობის სიწამხდარისა და ქარაფშუტობის სათავე სწორედ აქ იწყება. თვით საბჭოთა პრესას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ცოცხალი ინტერესის უდროგოდ მოდუნება და მოშლა «კომსომოლს» გადაგვარებისაკენ მიაქანებს. მართლაც, როცა ინტერესის ვარჯიშობა შეწყვეტილია, ცნობიერების მოცულობა ვიწროვდება, სულიერი საზრდოს უქონლობა იქცევა უნიჭობათ, რადგან იქცევა თვისებად. მართალია კომსომოლს უნიჭობა დანათლული არ აქვს, მაგრამ სადაც ყოველივე პირადი ინიციატივა და შემოქმედება ჩაკლულია, სადაც ცოცხალი პიროვნება გადაქცეულია ჭურად, რათა ამოიძახოს ის, რასაც ჩასძახებენ, იქ ნიჭის გამოჩენა და გაფურჩქენა შეუძლებელია. საზოგადოებრივი თვალსაზრისით კომსომოლის მკვდარია ყოველივე პოლიტიკური მუშაობისათვის, მას მხოლოდ გაფუქება შეუძლია, გაკეთება კი არაფერის არა. ძალმომრეობისა და შპიონაჟის სისტემა მათ სკოლაშიც შეიტანეს, შექმნეს აღმასკომების დასტურით მთელი რიგი ინკვიზიტური ზომებისა, რომელიც არა-კომსომოლ მოწაფეს საშინლად უძნელებს სწავლას მიღებას და ამ რიგად გადააქციეს სკოლა კომიაჩიკის სათარეშო ადგილად, სადაც საკუთარი აზრის გამხელა საფრთხილოა და თავისუფალი აზროვნება—დანაშაული. თუ ასეთ პირობებში სკოლა მთლად არ გამქრალა, ეს იმიტომ, რომ ჩვენი მოწაფეობა არაა პასიური; ის სკოლაშიც ებრძვის კომსომოლს და ყოველთვის ამარცხებს მას იდეურად.

ხშირად გვსმენია, კომსომოლს რკინის დისციპლინა აქვს; მაგრამ რკინის კი არა, ფელადის დისციპლინაც ფუქია იქ, სადაც მომსარია ან რკინების დისციპლინა და გონების კარები ღიაა ფანატინიზმისათვის, პოლიტიკური თუ სხვაგვარი ცრუმორწმუნებისათვის, ილიუზიისათვის. ამიტომ სასაცილოა ამ ხალხის დისციპლინაზე ძახილი, რომ სავალალო არ იყოს მათი ჩვირის ნებისყოფა და სიბეჩავე. ამ ნაცარქექიათა ბრბომ ურდოთა გასათელად მიაგდო თავისი ქვეყანა და ისწავლა კრემლის ერთგულ ფინიებისაგან ცარიელი ყოფილობა, უტიფრობა და დამბეზდებლობა. მათ დაჰკარგეს ხალხთან დაბრუნების იმედი და გახადეს პოლიტიკა ფულის შოვნის წყაროდ; მათ დაჰკიდეს სამშობლო და თუ ასეთი ხალხი მინც გაიძინის, სამშობლოს სიყვარული არ დაგვიკარგავსო, ეს მართალია, რადგან შეუძლებელია დაჰკარგოს ის, რაც არასოდეს არ გქონია. რომ კომსომოლის დაკვირვების უნარი და ყურადღების ნიჭი ნორმალური იყოს და დატაკი არ იყოს იმით, რასაც კონტროლის გრძნობა ეწოდება, ამდენხანს შეიგნებდენ,

რომ ბლშევიზმი რეაქციაა, რადგან სდევნის დემოკრატიულ თავისუფლებას. კრალდავს კრიტიკას და ლენინიზმის კრიტიკას კერძოდ. როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, რათა საკუთარი პარტიული ბრბო და ამ ბრმა იარაღის საშვავლებით თვით საზოგადოება მორჩილებაში იყოლიოს. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ძალით დამორჩილება საბჭოების ილიუზიაა, და ამ ილიუზიას გაკომუნისტებული ახალგაზდობაც იხიარებს.

ამ ახალგაზდობის სიბრიყვეს ტაშს უკრავენ უცხო ტომის მედროვენი, რომელთაც ქართველი დემოკრატიის უირვარამის არა გაეგებათ-რა და არ იციან მორიდება იმ ხალხისადმი, რომლის მიწა-წყალზე ცხოვრობენ. გამარჯვებულთა ბანაკში ესენი ჩვენს რენევატებთან ერთად სხედან და ჰარალეს გაიძახიან.

მაგრამ არც ისე ადვილია, თუ მიხვდებიან, გამარჯვებულთა ბანაკში ყოფნა. ერთი მხრით შინაპარტიული ტერორი და ობსკურანტიზმი გადაგვარებისსკენ მიერეკება კომუნისტურ პარტიას და მის თანამგრძობთ. ხოლო მეორე მხრით საზოგადოებრივი აზრი სასტიკათ სდევნის ხალხისაგან განდგომილს. დამოკლესის მძალი ჰკიდია თვითვეული რენევატის თავზე. ამრიგად მედროვეთა რიგებში მოქცეული თაობა დევნილია თვით ამ მედროვეთა მიერ და წესაგებულისა საზოგადოების მიერ. რადგან ლენინიზმში დაუშვებელია მასების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკური ინვალიდობა ამ თაობის ხელობად იქცევა, ის მარცხდება საზოგადოებრივი ცხოვრების გზაზე, იდეურად ფუქსავატდება და თავისი არსებობის აზრს მხოლოდ-და გაძღობაში დაედებს. ამ ჯურის ახალი თაობა ერთი მუქაა.

## 2. ანტი-საბჭოთა ახალი თაობა

საქართველოს მთელი ეროვნული ახალგაზდობა ხალხის მხარეზეა და მასთან ერთად ებრძვის უცხო მოძალადეებს. ეს ამსუბუქებს ქართველი ერის ტრადიციას და მომავლის იმედით ავსებს მის გულს. საბჭოების მთელი ენერჯია ამ ახალგაზდობის ფიზიკური განადგურებისკენაა მიმართული. ვადასახლება, ციხე, პოლიცია, პარტი-ჩეკა, ზენცობრივი წამება და ხერეტა—ყველაფერი მის წინააღმდეგაა ამუშავებული, მაგრამ იდეურად მაინც ვერ გასტეხა ის. მოსკოვის ოქროპირების ანტიდემოკრატიულმა და ანტიქართულმა კამპანიამ შესძინა საბჭოებს მხოლოდ ორიოდ მერყევი, მშიშარა და სულმდაბალი ახალგაზდა, რომელთა მიზანია: რაც შეიძლება მეტი შესვან და შექამონ, რათა ამ ქვეყნის წარმავალობას მეტი პირადი სიამოვნება გამოსტყოვან. პოლიტიკა—ჯიბე, სამშობლო—რეკლამა, აი ამ ხალხის მთელი იდეური ავლადიდება და ყოველდღიური ცხოვრების ფილოსოფია: აქიდგან მათი პოლიტიკური კრეტინიზმი, აზრის გაუმახველობა და მჩატე ხვედრითი წონა. ესენი საბჭოთა აზნაურობის მაძიებელი არიან.

სად არიან და რას აკეთებენ ამ დროს უეშმარტი ქართველი ახალგაზდები, როცა მათი უღირსი თანამემამულენი თბილ ადგილებზე სხედან და ჰაერს აფუქებენ?

ქართველი ახალგაზდობა ჩამწყვეტულია ჩეკის სარდადებში. გადასახლებულია რუსეთის ყრუ ადგილებში ან ტყე-ღრეებში ემალება ბარბაროს მტერს, ვინც ამ პირობებს თავი დააღწია, ჩაყენებულია ილოტის მდგომარეობაში; ის იდეგნება სასწავლებლიდან, სამსახურიდან, სამწერლო ასპარეზიდან და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ქართველი ახალგაზდობა ქართველ ერთან ერთად ებრძვის ამ ილოტინიზმს, მტერი კი ცდილობს ეს ბრძოლა ავანტიურის სახელით მოწათლოს. უკვე რუსეთის შემოსევის დღიდან ახალგაზდა ქართველთა ჩაება განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელშიაც მან საკმაოდ დიდი მსხვერპლი გაიღო. ეს ბრძოლა ბარბაროსობის და სიმანინჯის წინააღმდეგ მიჩნეულია ჩვენი ერის მიერ წმიდა მოვალეობად, ხოლო ამ მოვალეობის შეგნებას თან ახლავს სამშობლოს იდეის გარდაუვალობის შეგნება და მოქალაქის ემანსიპაციის ძლიერი მოტივი. ასეთი შეგნებით აღჭურვილი ახალგაზდა ადვილად ამარცხებს განდიდების მანიით შეპყრობილ საბჭოთა ენა-გესლ ნაცარქეციას, მაგრამ ეს მანინჯი ცხოველი რუსული მდევის კალთას ეფარება. მდევის დამარცხება კი მხოლოდ ერთნაირი შეიძლება: ფიზიკური.

დრო ამასაც მოიტანს.



ქ ა რ თ უ ლ ი დ ა მ ი ნ შ მ ი .

ლილიპუტი გოლიათის სამოსელში.

— «ესპანეთში აღმოჩნდა მეფე, ეს მეფე ვარ მე!» ამბობდა გოგოლის შეშლილი-საქართველოშიც გვეყვდა ერთი იშვიათი ეკნემპლიარი, «შოთა რუსთაველის» პარტიის დამაარსებელი—«პოეტი» ევგენი დვალი, რომელიც თავის ლექსების კრებულში გაიძახოდა:

— «მე ვარ ევგენ დიდი დვალი  
ქვეყნის ჩინი, ქვეყნის თვალი»-ო.

ამ ორ. ფრიად პატივცემულ პირთ დღეს გვერდში ამოუდგა მესამე, რომელიც მეტოქეობას უწყევს პირველსა და მეორესაც.

ეს გახლავთ პარიზის ერთ მივარდნილ ქუჩაზე გამოჩეკილი ქართული ფაშინში, «თეთრ გიორგათ» წოდებული.

და აი «თეთრი გიორგიც», გოგოლის შეშლილის უფლებების მოყვარეობით და ევგენი დვალის მეღალღმანით შეპყრობილი, თავხედურათ შესძახის ქართულ საზოგადოებას:

— ჩვენ, «თეთრი გიორგიელები»; საქართველოს ეროვნულ განვითარების უკანასკნელ ეტაპს წარმოვადგენთ, დანარჩენი პოლიტიკური პარტიები დაძველდნენ, ცხოვრებისათვის გამოუსადეგარნი გახდნენ, ისინი უნდა აღიგავნდნენ დედა-მამის სურვილად, და მთელი საქართველო ჩვენს გარშემო უნდა შემოიკრიბოსო.

მართალია ქართულ ფაშინში ჯერ თავკობალას ასაკამდისაც არ მიუღწევია, მაგრამ.—მიუხედავად ამისა, მადა ვეშაპისა აქვს.

მართალია, ეს გოლიათის სამოსელში გახვეული ლილიპუტის მოძრაობა ერთ ოთახსაც არ გასცილებია, მაგრამ მათ ეს ხელს არ უშლის მთელი საქართველო თავიანთ საკუთრებათ ჩასთვალონ და პატრიოტიზმზე მონაპოვია გამოაცხადონ.

მართალია მთელი მათი პარტია მათივე «დუჩე» ლეო კერესელიძის ჩათვლით ორ-ნახევარ კაცისაგან შესდგება, მაგრამ ისინი თავის-თავს მთელ ქართველ ერად აცხადებენ.

ყველას უფლება აქვს თავის ოთახში თავის თავზე ისეთი წარმოდგენა იქონიოს, როგორც მოესურვება, ოღონდ თავის წარმოდგენით სხვა არ შეაწუხოს და საქმეში ხელი არ შეუშალოს.

ასეთივე უფლება აქვთ აგრეთვე «თეთრი გიორგის» გმირებსაც.

და «თეთრ გიორგიელებს», რომ ცოტა-ოდენი ზომიერება დაეცვათ, გოგოლის შეშლილის უფლებების მოყვარეობით და ევგენი დვალის მეღალღმანით რომ დაკმაყოფილებულიყვნენ—ჩვენ, მათ გულგრილი ირონიული ღიმილით გვერდს ჩაუვლიდით, მაგრამ... ადამიანის გული ხარბია და შურიანი. «თ. გიორგიელები» ამით არ კმაყოფილდებიან. მათ მოსვენებას არ აძლევენ ერთი ანტიუური «ისტორიული გმირი».

მათ მოსურვებიათ, რაც უნდა დაუჯდეთ თავიანთი შუბლი დაიმშვენონ ჰეროსტრატეს «დაფნის გვირგვინით».

მოგესვენებათ ჰეროსტრატემ დიანას ტაძარი დასწვა, რომ თავისი სახელი საბერძნეთის ისტორიაში ჩაეწერა.

ამ მაგალითით გატაცებულთ ჩვენ «თ. გიორგიელებსაც» მტკიცეთ გადაუწყვეტიათ საქართველოს ისტორიაში როგორმე ჩააკეტონ თავიანთი სახელი. მაგრამ როგორ მოახერხონ ეს?

სავანებელში ჩავარდნილს ჩვენს «თეთრი გიორგის» არც უციებია არც უცხელებია და ხელალებით გადაუწყვეტია ტაძრის დაწვის მაგიერ ვინმეს დაეძგროს. გადაუწყვეტია და საომრათაც გამზადებულია: თავის ქონდრის-კაცის სხეულზე გოლიათის სამოსელი უშნოდ და უხერხულად წამოუსხმას; იარაღად ხელში ბზეკალ-კოდალი აუღია, კორიანტელის გამოსაწვევით ნაცარ-ქექიას ხერხისათვის მიუშართავს, თავმობსნილი ნაცრიანი გუდა თავდაღმა წელზე ჩამოუკიდია და არაბული ცხენის მაგიერ კი ხალის ჯიხზე წამოსკუპებულა.

და ასე «მამაცურად» მორთულ-მოკანშულს «გაუჩალებია» ბრძოლა! მაგრამ ვის წინააღმდეგ? იქნებ გარეშე მტრის წინააღმდეგ?

სრულებითაც არა!

— «თუ ვერ მოკლა ველურიო შინ დაკალი ყვერულიო».—ამბობს ქართული ან-

დაზა და აი ჩვენს «თეთრ გიორგისაც» გარეშე მტრისათვის ზურგი უქცევია და თავისი ბნეკალ-კოდალი შინაურების წინააღმდეგ მოუშარავს.

მაგრამ ვინ არის ეს შინაური მტერი? მათი სიტყვით ეს შინაური მტერი გახლავთ, სოციალისტებს რომ თავი დავანებოთ, ყველა ჯურის დემოკრატი, პარლამენტარისზმის მომხრე და საერთოდ ადამიანისა და მოქალაქის უფლების დამცველი.

აი ვის წინააღმდეგ ილაშქრებს «თეთრი გიორგი»... ნათქვამია: «ჭიანჭველას რომ ღმერთი გაუწყრება, ფრთები გამოესხმებაო». სჩანს ჩვენ «თეთრ გიორგისაც» რალაც ამის მსგავსი დამართა. მასაც გამოზბნია ფრთები და ისე შორს აფრენილა ზევით, რომ საქართველო მის თვალათანედვის ისრიდან დაკარგულა. თორემ, ის ვინც მართლაც პაერში არ დაფრინავს და საქართველოს ახლო ხედავს, უთუოდ შეაშჩნევდა, რომ დღეს ქართველი ერი მთლიანად მალიარებელია დემოკრატიული პრინციპების. ის იბრძვის რუსულ ბოლშევიზმის ბარბაროსულ დიქტატურის წინააღმდეგ, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენისათვის. დღეს მთელი ერის სასიცოცხლო ძალები დემოკრატიული პრინციპით არი» გავრთიანებული ერთ მთლიან ეროვნულ ფრონტზე. დემოკრატია არის საქართველოში დღეს ის შესახები წერტილი, სადაც ყველა აქტიური და მომქმედი ძალები ერთმანეთს ხვდება.

დემოკრატია—ეს ქართველი ერის მთლიანობა! და იმ ორიოდ გაფშისტებულ ემიგრანტს უნდა ესმოდეს რომ, როცა ის ბრძოლას უტყდადებს საქართველოს დემოკრატიას, ამით ის ებრძვის როგორც ქართველ ერს, ისე მის მთლიან ეროვნულ ფრონტს.

მას ისიც უნდა ესმოდეს, რომ მთლიანი ეროვნული ფრონტის დაშლა ნიშნავს ეროვნული ძალების დაქსაქსვას, ერის ბრძოლის უნარის დასუსტებას და მტრის გამაგრებას... ვფიქრობთ ეს ყველაფერი ესმის «თეთრი გიორგის» მაგრამ «თეთრი გიორგი» რის «თეთრი გიორგი» იქნება, რომ ამის წინაშე დაიხოს.

პირიქით «თეთრი გიორგი» შეგებულად ემსახურება მთლიანი ფრონტის დაშლის საქმეს. «პარიტეტი», «მთლიანი ფრონტი» მას სასაცილოდ არ ყოფნის. მათი «დუჩე» ლეო კერესელიძე იმდენად გათავზნედა, რომ ერთ საჯარო კრებაზე ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო ნეხვით დატვირთულ ურემს შეადარა, ხოლო მთლიან ეროვნულ ფრონტს «აღილიუია» უწოდა.

ამრიგად, «თეთრი გიორგი» ებრძვის არა მტერს, არამედ თვით საქართველოს.

«თეთრი გიორგი» ემსახურება ეროვნული ძალების დაშლის და დაქსაქსვის საქმეს.

«თეთრი გიორგი»-ს «მოძრაობა» ქართველი ერისათვის უცნობია და მიუღებელი.

«თეთრი გიორგი» ანტიეროვნული მოვლენაა.

«თეთრი გიორგი» მტრის საქმეს აკეთებს.

ესლა ვიკითხვოთ თუ რით უნდა «თეთრი გიორგის» შესცვალოს დემოკრატიული წესწყობილება თავისუფალ საქართველოში?

თუ «თეთრი გიორგის» უკაცრავად პასუხია «პუბლიცისტებს» დაუჯერებთ, დღეს თურმე მთელი ევროპის რადიკალურად გარდაქმნა სწარმოებს. ის თურმე თანდათან «იკურნება» დემოკრატიზმის, პარლამენტარისზმის და სოციალიზმის «დამშლელ» (!) და «გამბრწყნელ» «ბაცილებსაგან», ქმნის ახალი პოლიტიკური წყობის საფუძველს და ამყარებს წესიერების ახალ ფორმას. მათივე სიტყვით ამ ახალ «პოლიტიკურ წესიერების ფორმას» თავისი სრული გამოხატულება ჯერ-ჯერობით იტალიაში უპოვია—ფაშისზმის სახით,—და აი ჩვენს «თეთრი გიორგისაც» სურს ეს «განათლებული» ევროპის მიერ გამოფინილი დემოკრატიზმის და სოციალიზმის საწინააღმდეგო წამალი საქართველოში გადმოიტანოს და მით საქართველოც იხსნას ამ «საშინელი სენისაგან».

სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი, რაც «თეთრი გიორგის» მოლანდება აბე-რაციის კანონის ძალით, ევროპაში არ ხდება. პირიქით, ვხედავთ სრულ წინააღმდეგს. არასოდეს დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობა არ ყოფილა ისე ძლიერი აქ, როგორც დღეს. მაგრამ თავი დავანებოთ მას, მივყვეთ მტყუნანს კარამდე. ვნახოთ წესიერების როგორი ახალი ფორმა დამყარდა იტალიაში.

იტალიის წესიერების ახალი ფორმის დასახასიათებლათ ჩვენ შეგვიძლია ერთი მოკლე ამონაწერი მოვიყვანოთ თვით იტალიის ფაშისტურ გაზეთიდან. ეს გაზეთი სწერდა: «დღეს არსებობს ერთი იტალია და ეს არის ფაშისტური იტალია; ფაშისტურ იტალიას აბია ერთი თავი და ეს არის თავი მუსოლინის. და თუ სხვა რომელიმე თავი გამოჩნდა, ის უნდა მოიცილოს»-ო. ეს რამოდენიმე სტრიქონი ზედმიწევნით ახასიათებს დღევანდელ იტალიის სინამდვილეს. და მართლაც მუსოლინის თავთან დღეს არავი-

თარ სხვა თავს გამოჩინა არ შეუძლია, და თუ გამოჩნდა ის ბარბაროსული დაუნდობლობით მოიცილება. იტალიაში მძინვარებს დღეს მუსოლინის პიროვნული დიქტატურა. გაუქმებულია სიტყვის, კრების და კავშირების თავისუფლება. ფაქტიურად გაუქმებულია პარლამენტი. თვით მუსოლინის პირადი ხელმძღვანელობით სწარმოებს ყველა არა-ფაშისტური პარტიების ფიზიკური განადგურება. მუსოლინის საიდუმლო განკარგულებით ოპოზიციის ლიდერებს ქურდულად იპარავენ და შემდეგ გერაგულად კლავენ. «ურჩ» მუშებს მუსოლინის «ოპრიჩნიკები»—შავ ბლუზიანები ქუჩაში თავს ესხმიან და ჯოხების ცემით ხოცავენ. ოპოზიციის გახეთქების რედაქციებს და მუშათა კავშირების ბინებს ანგრევენ და ცეცხლს უკიდებენ. ფაშისტის მოწინააღმდეგე ლიტერატურას აგროვებენ და ქუჩებში საჯაროთ სწავავენ (ისე როგორც ეს ხდებოდა საშუალო საუკუნოებში ინკვიზიციის დროს) იტალიის ციხეები ვეღარ იტევს პოლიტიკურ ტუსალებს. როგორც «სოვეტების» სახელმწიფოში შეუძლებელია არა ბოლშევიკურად აზროვნება, ისე იტალიაში შეუძლებელია არაფაშისტურად აზროვნება. მოქალაქისა და ადამიანის უფლება ითლება. მთელი ქვეყანა განართხულია მუსოლინის ფეხქვეშ.

აი ეს არის «თეთრი გიორგის» სათაყვანო «წესიერების» ახალი ფორმა.

ნუ თუ მართლა იტალიის დღევანდელი წესწყობილება—ეს ლათინური კეთილშობილი რასის მიერ არის შექმნილი—როგორც ამას ამტკიცებს «თეთრი გიორგი»?

ვინ არ იცის, რომ მუსოლინმა მთელი თავისი ბრძოლის მეთოდები ლენინისგან შეითვისა? ფაშისტმა ეს ყირაზე დაყენებული ბოლშევიზმია! სამართლიანად ნათლავს ფრანჩესკო ნიტტი ფაშისტს «თეთრ ბოლშევიზმად». ფაშისტმა მართლაც «თეთრი ბოლშევიზმია». მუსოლინმა გადმოიღო რუსული ბოლშევიზმიდან ყველა მისი უარყოფითი მხარე—ბრძოლის ბარბაროსული მეთოდები, და ის შეაზავა დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნოების ინკვიზიციის მეთოდებით. იმავე ფ. ნიტტის თქმით მუსოლინი კი არ არის რაიმე ახალის წინამორბედი, ეს არის ადამიანი, რომელიც შორეულ წარსულიდან გვეძახის, და მართლაც, მუსოლინი გვეძახის ინკვიზიციის ხმით.

რუსული «პოგრომის» «სამოსუდის» და «ჩეკის» დასავლეთის ინკვიზიციასთან შეუდლება—აი რას წარმოადგენს ფაშისტში.

თუ ის, რაც იტალიაში ხდება, წესიერების ახალი და იდეალური ფორმაა, მაშინ მმართველობის ასეთი ფორმა ხომ ჩვენ სამშობლოშიაც დიდი ხანია დამყარა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ?

როცა ჩვენი «თეთრი გიორგი» ძალადობის თეორიას ხოტბას ასხამს, განა ამით ის არ ამართლებს რუსეთის ძალადობას საქართველოზე?

საკვირველია აგრეთვე, რათ გარბის «თეთრი გიორგი» იტალიაში, როცა იტალიის მაგვარი წესიერების ახალი ფორმა საკუთარ სამშობლოში მოეპოვება? რით აიხსნება, რომ იტალიურ ენაზე გადათარგმნილი «პოგრომი», «სამოსუდი», «ჩეკა» მისთვის იდეალურია, ხოლო იგივე «პოგრომი», «სამოსუდი», «ჩეკა» სამშობლო ენაზე—მიუღებელი და ბარბაროსული?

ქართულ კეთილშობილ სულისათვის უცხაა და შეუთვისებელი, როგორც დღევანდელი იტალია, ისე რუსეთი თავისი წარსულით და აწმყოთი. საქართველოს ისტორიამ არ იცის არც «პოგრომი» და არც «ინკვიზიცია». ეს კარგათ უნდა ესმოდეს «თეთრი გიორგის».

ალ. ლორდელი.

### ამსტერდამის კენჭრეხი და საერთაშორისო დღესასწაული.

ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალის მოქმედება 1926 წლის განმავლობაში გამოიხატა უმთავრესათ ამსტერდამის დღესასწაულის და კენჭრეხის მოწყობაში. როგორც თვით ინტერნაციონალი ისე ცალკე ეროვნული ორგანიზაციები დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ ამ შეხვედრისათვის. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ამ მხრით პოლანდიელ ამხანაგებს. დიდი ხნის მუშაობამ და მზადებამ მართლაც შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ამსტერდამის დღეები დაუვიწყარი იქნება ყველა ახალგაზდას გულში, რომელიც იქ დაესწრო. ამსტერდამის შეხვედრა იყო ინტერნაციონალურ და სოციალისტურ ერთობის განსახიერება.

5.000 ახალგაზდა სოციალისტი (ახალგაზდა მუშა) 16 ერის წარმომადგენელი შეიკრიბა ამსტერდამის შესავალთან ერთ დიდ მინდორზე, რომელზედაც პოლანდიელ



ამხანაგებმა აღმართეს «ახალგაზღობის და სიხარულის» ქალაქი. წარმოიდგინეთ მინდორი ქუჩებით დაყოფილი, რომელზედაც ამართულია კარავები, სულ 500, ხუთი ათას ამხანაგისათვის. ყოველის ქუჩა, რომელზედაც ფრანგები დაბინავდნენ, ვანდერველდეს — ბელგიელებისათვის, ვიქტორ ადლერის ქუჩა — ავსტრიელებისათვის, ბებელისა და ლიბკნეხტის ქუჩა — გერმინელებისათვის და სხ.

შუა «ქალაქში» — იმყოფებოდა ინტერნაციონალის მოედანი, რომელზედაც აღმართული იყო «მეგობრობის» კოშკი. — კოშკის თავზე ფრიალებდა ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალის დროშა.

მთწყობილი იყო სამი დიდი კარავი: სასადილო და თეატრი, გამოყვანილი ელექტრონი, წყლის მილები რამოდენიმე ასი პირსაბანით.

კარავში — საკმარისი რიცხვი საბნების და თივა, რომელზედაც წვებოდნენ «ქალაქის» მცხოვრებლები. განცალკავებულათ იდგა ქალაქის კომანდანტის კარავი. კომანდანტის ფუნქციას ასრულებდა პლანდიელების ხელმძღვანელი, ინტერნაციონალის ერთი საუკეთესო ლიდერთაგანი, ამხ. კოლს ფორინკი. სამ დღის განმავლობაში ეს 5.000 ახალგაზდა ერთათ სცხოვრობდა საერთო გრძნობებით და აზრით გამსუკავლული. ერთი მხრით ლხინი, ცეკვა-სიმღერა, მხიარულება, მეორე მხრით — სერიოზული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ერთმანეთ შორის დაახლოვება, ერთი მეორეს გულის ნადების გაზიარება და გავება.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ შეხვედრას სავრთაშორისო სოლიდარობის და მეგობრობის გრძნობის მომზადებისათვის ფართო მასებში..

ამ სამი დღის ცხოვრებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალაქს გარეთ სტადიონში უფროს და ახალგაზდა სოციალისტების შეხვედრა.

სალამს ექვს საათზე 5.000 ახალგაზდა სიმღერით გაემართა სტადიონისაკენ, სადაც მათ უკვე უცდიდა დაახლოვებით 5.000 უფროსი ამხანაგი, ამსტერდამის მუშები. აუწყრელ სურათს წარმოადგენდა ის მომენტი, როდესაც ახალგაზდების პროცესიამ მიაღწია მოედანს და უფროსებმა მისალმების ნიშნით შემოსძახეს «ინტერნაციონალი»-ს სიმღერა, რასაც მერე თვით ახალგაზდები აყვა.

დიდი და ახალგაზდა შეერთდა საერთო იდეალის სადიდებლათ.

როდესაც სიმღერა შეჩერდა — გერმანელ ამხანაგებმა დადგეს წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მასები და ცალკე პირის ლაპარაკის ადგილს იჭერს ხორბო. წარმოდგენის იდეა იყო — ბრძოლა თანამედროვე სიღუქპირის წინააღმდეგ და სოლიდარობის გამარჯვება. შესანიშნავათ ჩატარებულ წარმოდგენამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ათი ათას მაყურებელზე.

შემდეგ მთელი ახალგაზდობა ჩირადნებით ხელში და ისევ სიმღერით გაემართა ამსტერდამისაკენ. შუა ღამე გადაცილებული იყო, როდესაც ყველა კარვებში ღამის სიჩუმე ჩამოვარდა... მხოლოდ რამდენიმე დარაჯი დადიოდა ქუჩებში, კარვებ შორის...

მეორე დღეს ინტერნაციონალის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვეს პროფესიონალურ ინტერნაციონალის სახელით აუ დე გეს ტ მ ა, სოციალისტურ ინტერნაციონალის სახელით — კრისპინმა, ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალის სახელით ბელგიელ ვანდერვეკენმა და გერმანელ ოლფეჰაურმა და დასასრულ კოლანდიელ ამხანაგების სახელით — კოლს ფორინკმა; ამის შემდეგ კოლანდიელებმა და მერე უცხოელებმა დასტოვეს კარვების ქალაქი და გაემგზავრენ შინისაკენ. აწერა ყველა იმ შთაბეჭდილების და გრძნობების, რომელიც ამ დღესასწაულმა გამოიწვია, შეუძლებელია რამოდენიმე სიტყვით. ამ შეხვედრამ დაამტკიცა, რომ არსებობს ძლიერი ინტერნაციონალი ახალგაზდა სოციალისტებისა, არსებობს საერთო იდეალი, რომლითაც აღსავსეა ახალგაზდობის გული. ამ შეხვედრამ გააძლიერა ამ საერთო იდეალის შეგნება, გააღრმავა სურვილი ბრძოლის — მის განხორციელებისათვის.

ოთხშაბათს, 26 მაისს, 16 ქვეყნის ახალგაზრდა სოციალისტთა წარმომადგენლები შეუდგნენ სერიოზულ მუშაობას. ბიუროს სხდომას მოჰყვა დილით აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა. სადილს შემდეგ გაიხსნა კონგრესი, რომელსაც დაესწრო ნ დელეგატი 22 ორგანიზაციის სახელით. საქართველოს ორგანიზაციას წარმოადგენდა ამხ. მ. ხუნდაძე.



კონგრესის წესრიგი შეიცავდა შემდეგ კითხვებს:

1. ინტერნაციონალის მუშაობა პამბურგის კონგრესის შემდეგ. მამხსენებელი— ინტერნაციონალის მდივანი—ოლენჰაუერი.

2. ეროვნული და საერთაშორისო ბრძოლა ახალგაზდათა შრომის დაცვის პროგრამის განხორციელებისათვის. მომხსენებელი—ავსტრიელი ამხ. კიმილი.

3. რა მნიშვნელობა აქვს კულტურულ მუშაობას ახალგაზდობაში—სოციალისტებისათვის. მომხსენებელი—ოლენჰაუერი.

4. ახალგაზდობის საერთაშორისო მუშაობა და კავშირი, როგორც სოციალისტურ სახაგო პოლიტიკის საშუალება. მომხსენებელი შვეციელი—რიკარდ ლინდსტრომი და ინგლისელი არტურ ტეტლეი.

5. ახალგაზდა სოციალისტთა ორგანიზაციების დამოკიდებულება ბურჟუაზიულ ახალგაზდათა ორგანიზაციების და ახალგაზდობისათვის მზრუნველ საჯარო უფლებრივ დაწესებულებების მიმართ. მომხსენებლები—ბელგიელი—დეგრადე და გერმანელი—მაქს ვესტფალი.

6. წესდების შეცვლა. 7. წინადადებები. 8. არჩევნები.

ჩვენ დღეს ვერ გადმოგვცემთ საინტერესო მოხსენებების დაკამათის სრულ შინაარსს. მოვიყვანთ მხოლოდ რეზოლიუციებს, რომელნიც შემუშავებული იქნა სხვადასხვა კომისიებში. სულ იყო არჩეული 5 კომისია. ამხ. მ. ხუნდაძე იღებდა მონაწილეობას ორ კომისიაში: სახალ პოლიტიკის და სამანდატოში. ამ უკანასკნელის სახელით მან გააკეთა მოხსენება კონგრესის პლენარულ სხდომაზე.

ყველა რეზოლიუციები ერთხმით იქნა მიღებული.

აგრეთვე ერთხმით იქნა არჩეული ბიუროს ახალი წევრები. ამხ. პ. ფოგდმა, რომელსაც დღი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზდა სოც. ინტერნაციონალის შექმნაში და განვითარებაში, დასტოვა თავმჯდომარეობის ადგილი. მის მაგივრათ არჩეულ იქნა ამხ. კარლ ჰაინცი (ავსტრიელი), თავმჯდომარის ამხანაგათ—დეგრადე (ბელგიელი). მდივანთ—ამხ. ერინ ოლენჰაუერი (გერმანელი) და წევრებათ—პაულ ერნსტი (ჩეხოსლოვაკია—გერმანელი), კოლკ ფორინკი (პოლანდიელი) და რიხარდ ლინდსტრომი (შვეციელი).

კონგრესის რეზოლიუციები.

1. რეზოლიუცია სახალ პოლიტიკის შესახებ.

ახალგაზდა სოციალისტთა მოძრაობის ერთ უმთავრეს საგანს შეადგენს ბრძოლა ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის განვითარება კვლავ საფრთხეში აგდებს მშვიდობიანობას. განსაკუთრებით ვაბატონებულ კლასთა კონკურენცია კოლონიალურ ქვეყნების და ნედი მასალის წყაროების შექმნისათვის ქმნის იმ წინააღმდეგობას, რომელიც საბაბია ომის.

ამ საფრთხის წინაშე ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალი უერთდება სოციალისტურ ინტერნაციონალის და პროფესიონალურ კავშირთა ინტერნაციონალის მოქმედებას, რომელიც მიზნათ ისახავს ომის საფრთხის აცილებას და მუშათა მასებში მშვიდობიანობის სულისკვეთების გაძლიერებას, ერთა ლიგის დემოკრატიზაციას და საერთო განიარაღებას.

მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტურ პოლიტიკას, სოციალიზმის განხორციელებას შეუძლია სრული მშვიდობიანობის დამყარება.

გარდა საერთო მიზნებისა სოციალისტურ ახალგაზდობას აქვს თავისი განსაკუთრებული მიზნები.

ერთ უსაშიშროეს იარაღს, რომლითაც ნაციონალისტური წრეები ახალგაზდობაზე გავლენას ახდენენ, წარმოადგენს ისტორიის ტენდენციოზური გაშუქება სკოლაში და პროპაგანდა ნაციონალისტურ ახალგაზდათა ორგანიზაციებში. ამ შოვინისტურ პროპაგანდას სოციალისტურ ახალგაზდობამ უნდა დაუპირდაპიროს ერთა სოლიდარობის და საერთო მშვიდობიანობის იდეები...

... ბურჟუაზიის იმპერიალისტურ საერთაშორისო ომებს უნდა წინააღმდეგს მთელი რევოლიუციონური პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა.

ახალგაზდობის პოლიტიკური აღზრდა ისეთნაირათ უნდა იქნას მიმართული, რომ მან ნათლათ შეიგნოს, თუ რით განსხვავდება პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლა ზავისათვის ბურჟუაზიის პაციფიზმისაგან, რომელიც მხოლოდ ნახევარ-ზომებით ცდილობს შეებრძოლოს მილიტარიზმს.

იმ სახელმწიფოებში, სადაც რამდენიმე ერთ ერთათ ბინადრობს, აუცილებელია, რომ სხვადასხვა ერის სოციალისტური ახალგაზდობა ერთათ მუშაობდეს და იბრძოდეს ამ ერების შეთანხმებისათვის.

საერთაშორისო სოლიდარობის გრძობისა და აზროვნების განვითარებისათვის ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს სოციალისტურ ახალგაზდობის მასიური საერთაშორისო შეხვედრა პერიოდულათ. ახალგაზდათა სოც. ინტერნაციონალი უნდა ცდილობდეს აგრეთვე მოაწყოს ყოველწლიურათ ახალგაზდათა მოგზაურობა უცხოეთში, რათა ვააცნოს ის უცხო ქვეყნების ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

მოწყობილ უნდა იქნას საერთაშორისო მიტინგები, რომელზედაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ილაპარაკებენ. ეს მიტინგები დაკავშირებულ უნდა იქმნას მილიტარიზმის წინააღმდეგ ორი უდიდესი მებრძოლის—ჯან ყორესის და კარლი ბენეტის სახელებთან.

როდესაც ახალგაზდები სამხედრო სამსახურში წავლენ, საჭიროა მათ ვუთხრათ, რომ არ დაივიწყონ, რომ ისინი პროლეტარიატის ოჯახიდან არიან გამოსული.

საჭიროა ენერგიული პროპაგანდა სიტყვით, წერით, სურათებით—რათა ახალგაზდობას დაეხანათ, თუ რა საშინელებას და უბედურობას წარმოადგენს ომი კაცობრიობისათვის.

ახალგაზდათა ორგანიზაციებმა მთელი თავისი გავლენა უნდა იხმარონ, რომ აღმოაჩინონ იქნას ისტორიის სახელმძღვანელოებიდან სკოლებში შოიენუსტური ტენდენციები.

აღზრდის ყველა ეს საშუალებები—სხვათა შორის—შექმნიან ყველა ერის მშრომელ ახალგაზდობაში ისეთ სულისკვეთებას, რომელიც მომავალში მუშათა კლასს საშუალებას მისცემს რევოლუციონური მოქმედებით ომი შეუძლებელი გახადოს.

## 2. ომის საფრთხე აღმოსავლეთში.

ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალი, ისე როგორც მუშათა სოც. ინტერნაციონალი, შეებრძოლება ყოველგვარ აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და მოითხოვს ნორმალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენას მასთან.

სოციალისტური ახალგაზდობა უერთდება აგრეთვე ინტერნაციონალის მოწოდებას რუსეთის პროლეტარიატისადმი, რათა ამ უკანასკნელმა მოითხოვოს პოლიტიკური თავისუფლების აღდგენა საბჭოთა კავშირში და შეებრძოდოს უცხო ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევის პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აწარმოებს, აშვევრათ ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალი თავისათ აცხადებს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის აღდგენის მოთხოვნას, რომელსაც სოციალისტური ინტერნაციონალი უკვე რამდენიმე წელიწადია იცავს.

კონგრესი აღიარებს აგრეთვე, რომ იმ ბრძოლას, რომელსაც სოციალისტური პარტიები და ახალგაზდობა აწარმოებს რუსეთში პოლიტიკური თავისუფლების აღსადგენათ, ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, რადგან გარანტია ომის საფრთხის წინააღმდეგ შეუძლია მოგვეცეს მხოლოდ დემოკრატიის გამარჯვებამ რუსეთში. ამიტომ კონგრესი აცხადებს სრულ სოლიდარობას რუს ამხანაგებთან, რომელნიც იბრძვიან რუსეთის ბოლშევიკურ დიქტატურისაგან განთავისუფლებისათვის.

შედაქციისაკან. ამხანაგებს ვთხოვთ მოგვაწოდონ ყურნალისთვის წერილები, როგორც ზოგადი ხასიათის, ისე სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზდა სოციალისტთა მოძრაობიდან. აგისტო-სექტემბრის აჯანყების სამი წლის თავის აღსანიშნავათ განზრახული გვაქვს გამოვსცეთ სპეციალური ნომერი, ამიტომ საჭიროა აქედანვე მოგვაწოდონ ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგების სურათები და ნეკროლოგები. ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს ლევილის შატოში ამხ. ბერიშვილის სახელზე. იქიდანვე შეიძლება ჩვენი ყურნალის გამოწერაც.